საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა
(ფაკულტეტი)
საერთაშორისო სამართალი

ხელნაწერის უფლებით

იოსებ კელენჯერიძე

საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები მართლმსაჯულების განხორციელების კონტექსტში
(ვერიფიკაცია, იმპლემენტაცია, ეფექტიანობა)

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

თბილისი
2015

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) საერთაშორისო სამართლის მიმართულებაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მინდია უგრეხელიძე**, სამართლის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

1. **ევა გოცირიძე**, სამართლის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

2. **ლევან ჯაყელი**, სამართლის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2015 წლის „.....“ ..... საქართველოს საპარტიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სამართლის სექციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის №53ა.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპარტიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2015 წლის „_____“ _____

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი **თამარ ლალიაშვილი**

სარჩევი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება 4

თემის აქტუალობა..... 4

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები 4

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები..... 5

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები 6

ნაშრომის თეორიული ღირებულება..... 7

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა 8

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა 8

ნაშრომის ძირითადი შინაარსი..... 9

შესავალი 9

თავი I..... 9

სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების

უმთავრესი გამოხატულება..... 9

თავი II..... 10

მართლმსაჯულების საერთაშორისო პრინციპები და არსებული

მდგომარეობის შედარებითი ანალიზი (კომპარატივისტიკა) 10

თავი III 10

მოსამართლეთა პასუხისმგებლობა (საერთაშორისო სტანდარტები

და ქართული რეალიები)..... 10

თავი IV 11

იმპლემენტაციის შემაფერხებელი გარემოებანი 11

დასკვნა..... 12

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა18

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია: 18

კონფერენციებში მონაწილეობა:..... 20

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა

თემის აქტუალობა თავად მართლმსაჯულების ბუნებასა და მის დანიშნულებაში მდგომარეობს, რაც სამართლიანობის დამკვიდრებას ისახავს მიზნად. ვინაიდან მართლმსაჯულება ამ უდიდეს მიზანს ემსახურება, ამიტომ იგი ყველა დროში და ყველა ეპოქაში კაცობრიობის უდიდეს სადრტვინველსა და საზრუნავს წარმოადგენს. შესაბამისად, თემის აქტუალობა მხოლოდ იმით კი არ შემოიფარგლება, რომ საქართველოში მართლმსაჯულებამ წაიფორხილა ან სერიოზული პრობლემები შეექმნა, არამედ აქტუალურია თავად მიზანი - სამართლიანობის დამკვიდრება. რადგან სამართლიანობაზე სანუკვარი მიზანი კაცობრიობას არ გააჩნია და მართლმსაჯულება სწორედ ამ დიდი იდეის აღსრულებას ემსახურება, ცხადია, ყველაფერი უნდა ვიღონოთ მეცნიერულ დონეზე, იმისათვის, რათა დასახული მიზანი იქნას მიღწეული.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოება და ყველა იმ საკანონმდებლო ცდომილების გამოსწორების მცდელობა, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნულ სტანდარტებს, ასევე სამოსამართლო სამართლის დამკვიდრება ქვეყანაში, იმ საერთაშორისო აქტებისა თუ ტრადიციების გათვალისწინებით, რომლებიც ყველაზე მეტად მისაღები და ახლოა ქართულ სინამდვილესთან.

სადისერტაციო კვლევის ამოცანაა მართლმსაჯულების საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და დინამიკური ბალანსის სრული დაცვით განხილვა და მათი ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის

აუცილებლობაზე შედარებითი ანალიზის წარმოდგენა. ამასთანავე, ყველა იმ ფაქტორის მეცნიერულ დონეზე გაანალიზება, რომელიც ხელს უშლის მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების სრულად იმპლემენტაციას ქვეყანაში, წინააღმდეგობების გამომწვევი მიზეზებისა და იმ ღონისძიებების ძიება, რომლებიც უნდა გატარდეს მათ დასაძლევად.

სასამართლო სისტემაში, საქართველოში, დღესდღეობით უამრავი ხარვეზი არსებობს. საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები ჯერ-ჯერობით ბოლომდე არ არის დანერგილი და გათავისებული. პროცესი გრძელდება და რაც მეტი ხარისხით შემოვა და დამკვიდრდება ქვეყანაში ეს ფასეულობები, მით უფრო მეტად შეიძლება გვქონდეს დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს არსებობის პრეტენზია.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

მეცნიერულ სიახლედ მესახება ის გარემოება, რომ ნაშრომი წარმოადგენს მართლმსაჯულების საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების ერთ კონტექსტში თავმოყრის და მეცნიერული განხილვის პირველ ცდას საქართველოში, თემის ისტორიული, თეორიული თუ პრაქტიკული კომპონენტების ჩათვლით, მიუხედავად დიდძალი ნორმატიული მასალისა, საერთაშორისო მართლმსაჯულების ირგვლივ, მათი ქართულ რეალობაში ასახვა უპირატესად დესკრიფციულ (აღწერილობით) ხასიათს ატარებს. თანაც, ამ საკითხების ანალიტიკური კვლევა, ცალკეული ელემენტების გარდა, ფაქტობრივად არავის უწარმოებია. ჩვენი კვლევა ეფუძნება მართლმსაჯულების საერთაშორისო პრინციპების ერთ კონტექსტში თავმოყრას და, ვერიფიკაციის გზით, ქართულ რეალობასთან მათი შესაბამისობის აუცილებლობის დასაბუთებას. ნაშრომში განხილულია, რომელი საერთაშორისო მოთხოვნის იმპლემენტაცია არ მოხდარა ამ ეტაპზე, ან ჯერჯერობით საკმარისი ხარისხით არ განხორციელებულა; რა აუცილებელი ღონისძიებებაა საჭირო იმისათვის, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო

სამართლებრივი პრინციპები სრულად და დროულად იქნას დანერგილი ქვეყანაში; საგანგებო ყურადღება გამახვილებულია მათი დანერგვის ეფექტიანობაზე.

ნაშრომში დასაბუთებულია არაერთი საკანონმდებლო ცვლილების საჭიროება. ერთ-ერთ მეცნიერულ სიახლედ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში წარმოდგენილია საერთო სასამართლოების სისტემაში სპეციალიზებული სასამართლოების შემოღების მიზანშეწონილობა; ნაჩვენებია მათი დანერგვის ეფექტიანობა და აუცილებლობა; შედარებითი მეთოდის მომარჯვებით წარმოჩენილია განხილულ საერთაშორისო სტანდარტებთან ამ რეკომენდაციის სრული შესაბამისობა. გაანალიზებულია აგრეთვე ქართულ სასამართლო სისტემაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობა, შემოთავაზებულია ამ ინსტიტუტის მართლმსაჯულების საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებთან წინააღმდეგობის არსებობის არგუმენტაცია. დასმულია რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობის საკითხი მართლმსაჯულების გაუმჯობესების მიზნით.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევის უმთავრესი დანიშნულებაა მეცნიერული გზების გამონახვა სამართლიანობასთან მაქსიმალურად მიახლოების მიზნით, რისთვისაც იბრძვის თანამედროვე ცივილიზებული სამყარო. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ნაშრომი მთლიანად გამსჭვალულია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეით. სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება კი სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ საყრდენს წარმოადგენს. სამართლებრივ სახელმწიფოში მოიაზრება ხელისუფლებათა გამიჯვნა და მათი ურთიერთდაბალანსების მექანიზმების არსებობა, ადამიანის უფლებების პრიორიტეტული დაცვა და სამართლის უზენაესობა. მართლმსაჯულების საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები, რომლითაც მსოფლიოს მაღალი იურისდიქციები

საზრდოობენ, წარმოადგენენ იმ ძირითად ამოსავალ პუნქტს, საიდანაც ნაშრომში დაყენებული საკითხები არის დანახული, შესწავლილი და გაანალიზებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შესწავლილია საერთაშორისო სტანდარტები და სხვა ქვეყნების პრაქტიკა, მათი საკანონმდებლო სივრცე; მოძიებული და გაანალიზებულია მართლმსაჯულების განხორციელების საერთაშორისო თუ ეროვნული ნორმატიული აქტები.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ მასში ჩამოყალიბებულია დებულებები და დასკვნები, რომლებიც იძლევა მართლმსაჯულებაში არსებული ზოგიერთი პრობლემური საკითხის გადაწყვეტის გზებსა და ხედვებს. საერთაშორისო სამართლის სტანდარტებისა და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია მართლმსაჯულებაში დაგროვილი პრობლემების მეცნიერულად გადაჭრის მკაფიო პოზიცია. მოცემულია თეორიული დასაბუთება იმ სიახლეებისა, რომლებიც დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით არის წარმოდგენილი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

თემის დამუშავება ხელს შეუწყობს ქართული საკანონმდებლო სივრცის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, მეტად თვალსაჩინოს გახდის იმ მოთხოვნების დანერგვის აუცილებლობას, რომლებიც სამართლიანი სასამართლოს არსებობას უზრუნველყოფენ ქვეყანაში. ზოგიერთი არასრულფასოვანი კანონის შეცვლით ან გაუქმებით მაქსიმალურად მივუახლოვდებით სამართლიანი სახელმწიფოს სტანდარტებს.

მოთხოვნების სავალდებულო წესებად ქცევა ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას სასამართლო სისტემისადმი.

ადამიანს ექნება განცდა იმისა, რომ ყოველგვარი დარღვეული უფლების აღდგენა შეიძლება მოხდეს სასამართლოს გზით. აგრეთვე, სამოსამართლო სამართლის განმტკიცება ხელს შეუწყობს სამართლებრივი კულტურის ამაღლებას საზოგადოებაში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ქართულ ენაზე. იგი შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურისა და სახელმწიფოების, ქალაქების, ორგანიზაციებისა და პიროვნებების ანბანური საძიებლისაგან. ნაშრომი მოიცავს 192 გვერდს გამოყენებული ლიტერატურისა და ანბანური საძიებელის ჩათვლით.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში მოცემულია საკვლევი თემის აქტუალობა, კვლევის საგანი და მიზანი, კვლევის მეთოდი, მეცნიერული სიახლე, პრაქტიკული მნიშვნელობა და ნაშრომის ინფორმაციული ბაზა.

თავი I

სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების უმთავრესი გამოხატულება

ნაშრომის პირველი თავი მოიცავს მართლმსაჯულების ისტორიულ ევოლუციას, მისი როლისა და დანიშნულების წარმოჩენას ადამიანთა ნორმალური ცხოვრებისა და განვითარების საქმეში; მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის კონცეფციები მართლმსაჯულების არსზე და რაობაზე; განხილულია სამართლისა და სამართლიანობის მნიშვნელოვანი ასპექტები; დაყენებულია სწორი მართლმსაჯულების განვითარების აუცილებლობა სამართლებრივი კულტურის დასამკვიდრებლად და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად.

თავი II

მართლმსაჯულების საერთაშორისო პრინციპები და არსებული მდგომარეობის შედარებითი ანალიზი (კომპარატივისტიკა)

მეორე თავში განხილულია ყველა ის საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპი, რომელიც სავალდებულო მოთხოვნად წარედგინება ეროვნულ სასამართლოებს და რომლის შესრულების ვალდებულებაც სახელმწიფოებს გააჩნიათ; მოცემულია ამ პრინციპების ქართულ რეალობასთან კომპარატივისტული ანალიზი; საერთაშორისო სტანდარტებისა და უცხო ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, გამოთქმულია მოსაზრებები, ქართული საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შეთანაწყობის მიზნით; განხილულია ყველა ის საუკეთესო მოდელი, რომელიც უკეთ მიესადაგება ქართულ რეალობას; გამოთქმულია შენიშვნები ზოგიერთი პრინციპის საქართველოში არასაკმარისი დოზით არსებობის გამო და განხილულია წინააღმდეგობათა დაძლევის გზები ამ პრინციპების დამკვიდრების დასაჩქარებლად.

თავი III

მოსამართლეთა პასუხისმგებლობა

(საერთაშორისო სტანდარტები და ქართული რეალიები)

მესამე თავი ეთმობა მოსამართლეთა პასუხისმგებლობას, მათ ანგარიშვალდებულებას კანონისა და საზოგადოების წინაშე. განხილულია საკითხი, სად გადის ზღვარი მოსამართლის

დამოუკიდებლობასა და მის პასუხისმგებლობას შორის; რომელი პრინციპის უგულველყოფამ რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება დააყენოს; გამიჯნულია მოსამართლის უფლებამოსილებები მისი ანგარიშვალდებულებებისაგან; დასაბუთებულია რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობა.

თავი IV

იმპლემენტაციის შემაფერხებელი გარემოებანი

მეოთხე თავში განხილულია საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების ქართულ სამართლებრივ სისტემაში სრულად დამკვიდრების შემაფერხებელი გარემოება - ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. განხილულია ამ ინსტიტუტის არსებობის არაეფექტიანობა სწორი მართლმსაჯულების განხორციელების გზაზე. საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია მართლმსაჯულების სწორი ფუნქციონირებისათვის სასამართლო სისტემის საუკეთესო მოდელი.

დასკვნა

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია საკანონმდებლო ხასიათის შემდეგი რეკომენდაციები და წინადადებები:

1. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, საერთო სასამართლოს ყველა მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილებით სარგებლობს მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კი ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ე.ი. ეს უკანასკნელი იმავდროულად იმ ორგანოს ხელმძღვანელიცაა, რომელიც მოსამართლეთა დისციპლინურ დევნას ახორციელებს. ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არჩეულ იქნას თავად საბჭოს შემადგენლობის არამოსამართლე 5 წევრისაგან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კი შეიძლება დარჩეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რიგით წევრად, ისევე როგორც ამას ევროპული სტანდარტი გვთავაზობს.

2. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ვ'' ქვეპუნქტი არ აკონკრეტებს, რა მოიაზრება მოსამართლის მიერ მოვალეობის არაჯეროვან შესრულებაში, ამიტომ დისციპლინური გადაცდომის აღნიშნული სახე გარკვეულ ბუნდოვანებას წარმოშობს და სამოსამართლო საქმიანობაში ჩარევის რისკებს არ გამორიცხავს. ამასთანავე იმავე მუხლის ,,ე''ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმის უსაფუძვლო გაჭიანურება იმავდროულად საქმის არაჯეროვან შესრულებაში მოიაზრება. აუცილებელია

გაუქმდეს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ე'' ქვეპუნქტი, როგორც კანონის სრულიად უსარგებლო დებულება და საქმის უსაფუძვლო გაჭიანურება იმავე მუხლის ,,ვ'' ქვეპუნქტში, მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების სპეციფიკის მიხედვით იქნას განხილული. ამასთანავე, მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას საქმის უსაფუძვლო გაჭიანურების გარდა, დაემატოს არასაპატიო მიზეზით სხდომაზე დაგვიანება და სამსახურში გამოუცხადებლობა ან შრომის დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა.

3. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომათა სახეებს უნდა დაემატოს კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მოსამართლის მიერ საჩუქრის მიღება, მიუხედავად საჩუქრის მცირე ღირებულებისა, მაინც აყენებს მას ვალდებულებით მდგომარეობაში საჩუქრის მიმცემის მიმართ და გარკვეულწილად ზღუდავს მის დამოუკიდებლობას.

4. მიზანშეწონილად მიმაჩნია, არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა საერთო სასამართლოების სისტემაში, სადაც მოსამართლეებს გავლილი ექნებათ სპეციალური ტრენინგები და მიღებული ექნებათ საგანგებო მომზადება. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხს, ვინაიდან მათი გადაწყვეტილება ბევრად უფრო კომპეტენტური და სიღრმისეული იქნება, ვიდრე ჩვეულებრივი მოსამართლის. დარგობრივი კვალიფიკაციის

ხარისხის გარდა, სპეციალიზებული სასამართლოს შექმნა შეამცირებს საქმეების რაოდენობას სასამართლოებში. შესაბამისად, შემცირდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ოდენობა, სახელმწიფო ხარჯები და ასე შემდეგ. არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სასამართლო უნდა ფუნქციონირებდეს საერთო სასამართლოების წიაღში და ექვემდებარებოდეს სასამართლო საქმისწარმოების მკაცრად განსაზღვრულ წესს.

5. მოსამართლის სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეიძლება უკავშირდებოდეს სასამართლოს თავმჯდომარის სპეციალურ ნებართვას; ისინი უნდა იმყოფებოდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო საკანონმდებლო სივრცეში. მოსამართლის დაცულობა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ იმ ქმედებებზე, რაც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას უკავშირდება ან მასთან კავშირში იმყოფება. ხოლო თუ მოსამართლე ჩადის ქმედებას, როგორც რიგითი მოქალაქე, მას ისევე უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, როგორც ნებისმიერ სხვას. დაუშვებელია ასევე უზენაესი სასამართლოების მოსამართლეების მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნის დაწყებაზე პარლამენტის თანხმობა, ვინაიდან ეს წესი გამოარჩევს მათ სხვა მოსამართლეებისაგან. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი გარანტიები და უნდა არსებობდეს სრული თანასწორობა.

6. საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განსაზღვრული უნდა იყოს ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით, რომლითაც მოსამართლის დანიშვნა ხორციელდება. დღესდღეობით მოსამართლეთა გათავისუფლება ხორციელდება ,,საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

სამართალწარმოების შესახებ'' საქართველოს კანონით, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განსაზღვრული უნდა იყოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

7. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მთელი პროცესი კონფიდენციალურია და სამართალწარმოების მთელი ეტაპი ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშეა დარჩენილი. პროცესის სრული გასაიდუმლოებით ჩნდება განცდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოსამართლის ინტერესები იქნება დაცული, ვინაიდან ვერავინ შეაფასებს, რა კრიტერიუმები მიიღო მხედველობაში სადისციპლინო კოლეგიამ. სასურველია, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცესის გასაიდუმლოება ხდებოდეს ნაწილობრივ. თავდაპირველ ეტაპზე, როდესაც სადისციპლინო კოლეგია იკვლევს, რამდენად საფუძვლიანია საქმის წარმოებაში მიღება და არსებობს თუ არა მოსამართლის დისციპლინური დევნის რეალური საფუძვლები, პროცესი უნდა იყოს კონფიდენციალური. ამ ეტაპზე დაცული უნდა იყოს როგორც მოსამართლის, ასევე მომჩივანისა და მოწმეების კონფიდენციალურობა. მომდევნო ეტაპი კი, მართლმსაჯულების განხორციელება, უნდა დაექვემდებაროს მართლმსაჯულების ზოგად წესებს, უნდა იყოს საჯარო და გამჭვირვალე. სურვილის შემთხვევაში კი მოსამართლეს უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი, სამართალწარმოება უნდა წარიმართოს დროულად და დაცული უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების ყველა პრინციპი.

8. მიზანშეწონილია, სასამართლო პროცესის ინკვიზიციური

ელემენტი აღდგეს ქართულ კანონმდებლობაში, კერძოდ, გაუქმდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის თანახმად, მოსამართლეს ეკრძალება დამაზუსტებელი შეკითხვის დასმა მხარეთა ნებართვის გარეშე. შეჯიბრებითობის პრინციპი კვლავინდებურად უნდა იყოს დაცული, ანუ მხარები არ უნდა შეიზღუდონ მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობით, მაგრამ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს დამაზუსტებელი შეკითხვის დასმის უფლება საკუთარი ინიციატივით. სასამართლო გამოძიებაში ჩართვით მოსამართლეს მეტად ექნება შესაძლებლობა გადაწყვეტილება თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კი მას შეიძლება დარჩეს განცდა იმისა, რომ ბოლომდე ვერ მიიღო სასურველი ინფორმაცია და ასეთ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილება ვერ იქნება მოსამართლის შინაგანი განწყობის სრულყოფილი შედეგი. ამასთანავე, როდესაც მტკიცებულებათა უზუსტობა აშკარაა და მოსამართლე დამაზუსტებელ შეკითხვას არ სვამს, ეს იწვევს მხარეთა განცდას მოსამართლის მიკერძოებულობის შესახებ. აღნიშნული ელემენტის შემოტანა სავსებით გამართლებულია, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეჯიბრებითობის და ინკვიზიციური ელემენტების ურთიერთშერწყმის პრაქტიკას ცნობს საერთაშორისო სასამართლოები.

9. სასურველია შეიცვალოს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრებს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მართალია, პრეზიდენტის უფლებამოსილება წარდგენის შემდგომ მოსამართლეზე წყდება, მაგრამ მოსამართლე მაინც შეიძლება დარჩეს მისი წარმდგენის გავლენის ქვეშ და ამ მხრივ გარკვეული რისკები არსებობს. ამიტომ, უმჯობესია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები არჩეულ იქნენ საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ხოლო

კანდიდატურების წარდგენა განხორციელდეს საპარლამენტო ფრაქციების მიერ, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების კვალობაზე.

10. განხილული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების ანალიზის საფუძველზე, აუცილებლად მიმაჩნია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაუქმება ქართულ კანონმდებლობაში. ყველაზე მისაღებ და უკეთეს მოდელად, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ შერეული სასამართლო სისტემა, სადაც პროფესიონალებთან ერთად თანაბრად იქნებიან წარმოდგენილნი ასევე არაპროფესიონალები, რომლებიც თანაბარი უფლებებით იქნებიან აღჭურვილნი და ერთნაირად მიიღებენ მონაწილეობას, როგორც ფაქტების დადგენის, ასევე ნორმების შეფარდების საკითხებში. შერეული მოდელი უზრუნველყოფს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, რასაც ახორციელებს პროფესიონალი მოსამართლე. ამგვარი ტიპის სასამართლოს გააჩნია პროფესიონალი მოსამართლის მიერ სისხლის სამართალწარმოებასა და ვერდიქტის გამოტანაზე სამართლებრივი კონტროლის საშუალება და ითვალისწინებს გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას. ცხადია, აღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილებით, აღმოფხვრილი იქნება ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამობის პრობლემა.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

ნაშრომის ცალკეული თავები ასახულია კოლოქვიუმებში, რომლებიც წარდგენილი იქნა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტზე. კავკასიის უნივერსიტეტში დაცული იქნა სემინარი: ,,ძალის გამოუყენებლობის პრინციპის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები''. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში დაცული იქნა სემინარები:

1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა;

2. ევროსაბჭოსა და ევროკავშირის სასამართლოების ურთიერთგავლენა და ურთიერთდამოკიდებულება (სწორება სტრასბურგზე);

3. ლტოლვილთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები.

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დაკვნა - შუქ-ჩრდილები. ჟურნალი ,,სამართალი და მსოფლიო''. N1. 2015. გვ. 21-31;

2. Les rapports entre démocratie et droits de l'Homme - l'exemple du Conseil de l'Europe et de la Géorgie. Human Rights Abuses in The Contemporary World. Vol. 3. ბერნი. შვეიცარია. 2012;

3. ევროპულ თანამეგობრობათა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების ურთიერთგავლენა და ურთიერთდამოკიდებულება. (დაპირისპირება ორ ევროპულ იურისდიქციას შორის). ,,ინტელექტუალი''. თბილისი. N21. 2012;

4. Democracy and Human Rights. ,,European Union Foreign Affairs Journal''. ISSN 2190-6122. N° 2/3 – 2011.

კონფერენციებში მონაწილეობა:

1. საერთაშორისო კონფერენცია: მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები და მათი დაძლევის გზები. ორგანიზატორები: ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, სამართლის მეცნიერთა კავშირი. თბილისი. 19 ივნისი, 2015;

2. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტი. ბავშვთა უფლებები საერთაშორისო სამართალში. ქ. სტრასბურგი. 2015;

3. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტი. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთაშორისო სამართალი. ქ. სტრასბურგი. 2014;

4. Université Paris-Sorbonne ქ. პარიზი. კონტინენტური სამართალი; 2013 წ.

5. საერთაშორისო კონფერენცია: ,,დემოკრატია და ადამიანის უფლებების დარღვევა თანამედროვე მსოფლიოში: სამართლებრივი მიდგომები''. ორგანიზატორები: Caucasus University, Université Paris Ouest Nanterre La Défence (საფრანგეთი), Universität Potsdam (გერმანია). ქ. თბილისი; 2011.

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

School (Faculty) of Humanities and Law

International Law

With the right of manuscript

Ioseb Kelenjeridze

International Legal Principles in the Context of Administration of Justice

(Verification, implementation and effectiveness)

Dissertation Herald

Of the thesis presented for obtaining a Doctor's

Academic Degree in Law

Tbilisi
2015

The doctoral thesis was accomplished at the St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, School (Faculty) of Humanities and Law, Direction of Law.

Academic supervisor:

1. **Mindia Ugrekhelidze**, Doctor of Law, Professor of the St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

Official opponents:

1. **Eva Gotsiridze**, Doctor of Law, Associated Professor of the St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

2. **Levan Jakeli**, Doctor of Law, Associated Professor of Batumi Shota Rustaveli State University

The thesis will be defended on "-----" ---------- 2015 at ----- at the meeting of Law Section of the Academic Council of the School (Faculty) of Humanities and Law of the St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

Address: 53a Chavchavadze ave. Tbilisi 0162

The thesis is available in the scientific library of the St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

The Dissertation Herald was distributed on "-----" ---------- 2015.

Academic Secretary of Law Section of the Academic Council

Tamar Laliashvili
Doctor of Law, Professor

Table of Contents

General description of the thesis 24
Actuality of the subject..... 24
Main purpose and objectives of the research 24
Scientific novelty of the research and its main results 25
Theoretical and methodological principles of the research 26
Theoretical value of the thesis 26
Practical significance of the thesis 26
The structure and size of the thesis 27

Basic content of the thesis 27
Preamble..... 27
Chapter 1 27
The Court, as the main expression of the administration of justice 27
Chapter 2 28
The principles of justice and comparative analysis of the international principles and current situation (Studies) 28
Chapter 3 28
Responsibility of Judges (International Standards and Georgian Reality) ... 28
Chapter 4 29
Implementation impediment 29
Conclusion..... 29
List of Publications Related to the Subject of Dissertation 34
List of Published scientific works: 34
Participation within conferences: 35

General description of the thesis

Actuality of the subject

The actuality of law is in its nature and provision that aims at establishing justice, for this very fact it has always been the subject of care for the mankind throughout the centuries. Its actuality is not only in the fact that Georgian justice now has some problems, it is actual from the point of view of its aim- establishment of justice. As the mankind has always been striving towards righteousness and justice serves this very aim, we should take every effort on the scientific level to achieve the aim.

Main purpose and objectives of the research

The research aims to maximally push the national legislative frame to the international standards and to improve all legislative fallaciousness that are not relevant to the above standards. It also aims to establish court justice in the country envisaging all those international acts and traditions that are acceptable and come near the Georgian reality. The task of the dissertation research is to consider the international principles of justice having close links with each other and keeping the balance in order to represent the comparative analyses to show the necessity of their implementation on the national level, also all the factors that prevent establishment of principles of international justice, should be realized on a scientific level. The reasons causing drawbacks and the measures to overcome them should be sought.

The implementation and promotion of these demands serves the aim to maximally come near the justice, that always has been the Cherished dream for the mankind.

Nowadays there are a lot of shortcomings in Georgian legislative system, International legal principles have not been fully implemented and understood yet. The process is on and the more such values are established in the country the more right we have to get democratic

and righteous state. International legal principles' establishment and promotion serves the aim to maximally come near justice.

Scientific novelty of the research and its main results

The scientific novelty is the paper, gathering the international legislative principles of justice in one context and for the first time considering it scientifically in Georgia including its historical, theoretical and practical components. Despite the loads of normative materials of international justice, their reflection in the Georgian reality bears descriptive character and the analytical research towards this subject, despite the separate elements, does not exist. That's why the research is based on the gathering all international principles of justice in one context and representing the necessity of their implementation in the Georgian reality by means of verification. Paper includes and considers the international demand, that has not been implemented yet, or which demand has not been implemented properly, what measures should be realized for their timely and fully implementation in the country. The attention is paid to the effectiveness of their implementation.

The paper is an attempt to scientifically prove the feasibility of a number of legislative changes. One of the novelties in the legislative space is the creation of professional court system in the common system of courts; The effectiveness and necessity of their professional implementation. By means of comparative method, its full coincidence and relevance with international standards is presented. The annulations of juries' institution in the Georgian court system is also set, the irrelevance of this Institution with International legislative principles is proved. The necessity of making some legislative changes in order to improve justice is considered as well.

Theoretical and methodological principles of the research

The main purpose of the research is to maximally approach justice for which the modern civilized world is striving now. According to methodological point of view, the paper is fully dedicated to the idea of the righteous state. To do justice is the main pillar of the state. The righteous state means the separation of government and the mechanism to keep their balance, protection of the human rights and the rule of law. The international legal principles of justice, that are the main source of acting for the higher jurisdictions of the world, are the basics according to which the issues in the paper are studies and analyzed.

Envisaging the above mentioned, international standards and the practice of the countries, their legal space are studied. The basic normative and international and national acts for implementation of justice are sought and analyzed. The complex analyze of necessary demands and values for implementation of righteous justice is carried out.

Theoretical value of the thesis

Theoretical Value of the Work consists in the fact that its regulations and conclusions provide the ways to solve several problematic issues existing in Justice. By envisaging the International Law standards and Georgian peculiarities, clear position of solving the problems in a scientific way has been formed. Theoretocal justification of the novelties is given, which are represented by conclusions and references.

Practical significance of the thesis

The development of the theme will contribute to Georgian legislation be in compliance with international standards, it will make more clear that it is of utmost importance to establish those demands that support

the righteous court in the country. With these very legislative principles the conduct of the process will be deeper and detailed in the specific filed, at the very same time cancellation or change of some vicious laws will help us to maximally approach righteous state standards.

To turn demands into rules will help to gain public trust towards the court system. One will know that infringed rights will be restored with the aid of a court. Strengthening of court justice will support raising of legal culture in the society.

The structure and size of the thesis

Dissertation is written in Georgian, it consists of preamble, four chapters, used literature and an alphabetic list (search) of states, cities, organizations and people. The paper covers 192 pages including used literature and an alphabetic search.

Basic content of the thesis

Preamble

The actuality of the research, research subject and goal, research method, scientific novelty and its practical meaning and the information base are given in the preamble of the dissertation paper.

Chapter 1

The Court, as the main expression of the administration of justice

The first chapter of the paper covers the evolutional history of justice, showing its role and destination in normal life and development of people ; the paper shows concept of justice of various countries and epochs; the important aspects of justice and righteousness are discussed ; the necessity of the right administration of justice to establish the legal culture and to form the righteous state is given.

Chapter 2

The principles of justice and comparative analysis of the international principles and current situation (Studies)

All those international legal principles are discussed in the second chapter which are demanded by the international justice for national courts and which should be carried out by the states. The comparative analyses of these principles with the Georgian reality is also discussed; opinions are expressed based on international standards and experience of the foreign countries in order to refine the Georgian legislative frame and make it fit for international standards; all the best models that best fit the Georgian reality are discussed; some remarks are made on account

of some principles' lack in Georgia and the ways of its overcoming to accelerate the inflow of the above principles.

Chapter 3

Responsibility of Judges (International Standards and Georgian Reality)

The third chapter is dedicated to the responsibility of judges, to their accountability towards law and the society. The question where is the border between the judges' independence and responsibility is also set; What kind of responsibility can be put on the principle that slights; the power of a judge is separated from his responsibilities; the urgency of some legislative changes is proved.

Chapter 4

Implementation impediment

The fourth chapter is dedicated to the discussion of impediment of international legislative principles' full establishment in the Georgian legislative system- juries. The inefficiency of this Institute in order to carry out the right justice is discussed in the paper. The best model for the right functioning of justice is described on the bases of analyses of international standards and of other countries' legislation.

Conclusion

The following recommendations and offers are presented in the conclusion:

1. According to the item 2 of the article 7 of the low of Georgia on disciplinary responsibility of the judges of courts of Georgia and disciplinary Litigation, only the supreme council of Justice of Georgia has the right to launch the disciplinary proceedings against all judges of general court. The supreme council of justice is headed by the head of supreme court that means the latter is the chairperson of the body that carries out the disciplinary action of the judges. Envisaging the European experience it is urgent that the head of the supreme council of justice to be elected from the 5memebrs (who are not judges) of the supreme council and the head of supreme court can stay as an ordinary member of the supreme council of justice, as it is offered by the European standards.

2. The sub-item "ვ" of the 2nd article of disciplinary responsibility of the judges of courts of Georgia and disciplinary Litigation does not specify what is considered to be improper performance of duties by the judges, The above form of disciplinary violations give rise to a certain ambiguity and does not exclude judicial interference in the activities. Meanwhile the undue delay envisaged by the sub-item "ე" of the same article is considered to be an improper implementation. It is urgent the sub-item"ე" of the 2nd article of the law of Georgia on disciplinary responsibility of the judges of courts of Georgia and disciplinary Litigation to be cancelled as a completely useless provision of the law and an undue delay of proceeding included in the sub-item "ვ" the same article to be considered according to the specifics of improper implementation of duty and besides undue delay, the absence from work without a sound reason or delay in the session or any violation of labor discipline to be added to the improper implementation.

3. Accepting the gift banned by the law should be added to the disciplinary violations included in the article 2 of the law on disciplinary responsibility of the judges of courts of Georgia and disciplinary Litigation, if it does not cause criminal responsibility. Accepting a gift by the judge, even if the gift is of law cost puts the judge in the obligation of the giver's respect and restricts his/her independence.

4. I think it is right the juvenile special courts to be created in the common system of courts, where the judges will have special trainings this will considerably improve the quality of justice, because decision taken by those judges will be more competent and in-depth that the one taken by an ordinary judge. Besides the field qualification quality, Specialized courts will reduce the number of cases in the courts, therefore the number of contested decision, state expenses and so on will be reduced. The juvenile specialized court should be functioning within the courts and should be the subject to the strict rules of the court proceedings.

5. The legal proceeding of a judge should be connected with a special permit of the head of court; they should be in the common legislative space of criminal liability, the protection of judges should only cover the actions connected with the implementation. If a judge does something illegal as an ordinary citizen, he/she should carry responsibility as anybody else in this country. The parliamentary approval for launching a criminal prosecution against the judges of courts, should also be excluded, since this rule sets them apart from other judges. The judges qshould have equal guarantees and a complete equality should exist among them.

6. In order to correspond with the Georgian Constitution, the rule of ousting the judge from the post must be determined by Georgian fundamental law "On General Courts", by which appointment of the judge is implemented. Nowadays, the judges are ousted

according to the Georgian law "On Disciplinary Responsibility of the General Courts Judges and Disciplinary Court Procedure", that contradicts with the Constitutional demand, by means of which the rule of selection, appointment and ousting of the judges from the post must be determined by the Constitution and fundamental law.

7. In accordance with the 5th paragraph of the Georgia law "On Disciplinary Responsibility of the General Courts Judges and Disciplinary Court Procedure"of the Georgian General Courts, the entire process of Disciplinary Court Procedure of the judges is confidential and the whole stage of the Court Procedure has remained without any superintendence. One may have a sensation with the entire concealment of the process that the interests of a judge will be protected at any rate, as no one is able to make assessments, what kind of criteria were taken into consideration by the Disciplinary Board. It is desirable that the concealment of Disciplinary Responsibility of a judge should occur partially. At the initial stage, when the Disciplinary Board studies how reasonable the adoption of proceedings isand whether real grounds for Disciplinary Pursuit exist or not, the process should be confidential. At this stage the confidentiality of a judge, accuser and witnesses must be confidential. At this stage, the confidentiality of a judge, accuser and witnesses should be protected. The following stage – implementation of public justice – should subject to general rules of the Public Justice and be transparent and public. In the event of a desire, the judge must have a representative, Court Proceeding should be carried out timely and all principles of implementation of Public Justice should be protected.

8. It would be proper if the inquisitional element of the legal proceedings were reestablished within Georgian legislation, namely, abolishment of 2nd clause of the 25th paragraph of Georgian Criminal Procedure Code, in accordance to which the

judge will be prohibited to ask a clarification question without a permission of the sides. TheCompetitiveness Principle should be still followed, i.e. the sides should not be restricted with the opportunity of presenting the evidences, by the judge must have a right to ask a clarification question on his/ her own initiative. When being involved in the juridical enquiry, the judge will have more opportunities to pass a verdict based on his/her inner belief. Otherwise, he/she may have a feeling as if he was not able to get desirable information to the full and in such case the final verdict cannot be the appropriate result of the judge's inner state of mind. Above all, when inaccuracy of the evidences is obvious and the judge does not ask a clarification question, it causes the feeling of the judge's preconception among the sides. Inculcation of the afore-mentioned elements is totally justified, especially when International Courts recognize the junction practices of inquisitional elements and competitiveness.

9. It is desirable to amend the first clause of the 36th paragraph of the Georgian Fundamental Law on General Courts, in accordance to which the Georgian Parliament elects the Chairmen and members of the Supreme Court by presentingthe President of Georgia. Although, the final decision on President's authority after his presence is decided by the judge, but the judge may remain under the influence of his representative and there are certain risks from this point of view. That is why, it would be better if The Chairman and members of the Georgian Supreme Court were elected by the Legislative body, and presenting the candidates should be implemented by parliamentary Fractions, pursuant to meeting certain criteria.

10. On the basis of the analysis of considered International Legal Principles, I regard it necessary to abolish the trial jury within Georgian legislation. We may regard mix-court system as the best and most acceptable model, taking into consideration the European

experience, where along with the professionals, non-professionals will be also presented, which will be endowed with the equal rights and will take equal participation in facts revealing, as well as in norms correlation issues. The mixed model ensures grounded decision, which is taken by a professional judge. Such kind of court has the opportunity of legal control on passing a verdict and criminal court procedure by a professional judge and it envisages the opportunity of appeal of a decision. It is evident that by meeting the above-mentioned criteria, the problem of discrepancy with the European convention will be eradicated.

List of Publications Related to the Subject of Dissertation

The separate chapters of the work are reflected in colloquiums that were presented at St. Andrew the First-Called Georgian University Faculty of Human Sciences and Law. The workshop: "International Legal Aspects of Principles of Non-use of Force" was held at the Caucasus University. The following workshops were held at St. Andrew the First-Called Georgian University:

1. The Advisory Opinion of International Court of Human Rights;
2. Interaction and Mutual Relationship between Council of Europe and European Union courts.
3. International Legal mechanisms of Refugee Rights Protection

List of Published scientific works:

1. The Advisory Opinion of International Court of Human Rights - the strengths and weaknesses. Magazine "Law and the World". N1. 2015. P. 21-31;
2. Les rapports entre démocratie et droits de l'Homme - l'exemple du Conseil de l'Europe et de la Géorgie. Human Rights Abuses in The Contemporary World. Vol. 3. Bern, Switzerland. 2012;
3. Interaction and Mutual Relationship of the European Commonwealth and Human Rights International courts.

4. Democracy and Human Rights. ,,European Union Foreign Affairs Journal''. ISSN 2190-6122. N° 2/3 – 2011;

Participation within conferences:

1. International conference: Contemporary problems of Justice and the ways of their eradication. Facilitating agents: European University, Scientific Association of Law.Tbilisi, June 19, 2015.

2. The International Institute of Human Rights. Children's right in international law. Strasburg. 2015.

3. The International Institute of Human Rights. Refugees and Internally Displaced Persons International Law. Strasburg. 2014.

4. Université Paris-Sorbonne. Paris. Continental Law. 2013.

5. International Conference: "Democracy and Violence of Human Rights within the modern world: Legal approaches: Facilitating agents: Caucasus University, Université Paris Ouest Nanterre La Défence (France), Universität Potsdam. Germany. Tbilisi, 2011.